საქართველოს სატყეო სექტორის მართვის, ინსტიტუციური მოწყობის ძირითადი პრინციპები

გივი ჯაფარიძე[1] – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
გიორგი გაგოშიძე[1] – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
ლაშა დოლიძე[1] – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი
რეზო ვასაძე[3] – სოფლის მეურნეობის დოქტორი
ზვიად ტიგინაშვილი[2] – სოფლის მეურნეობის დოქტორი
მალხაზ სამადაშვილი[2] – სოფლის მეურნეობის დოქტორი
დავით შევარდნაძე[2] – სოფლის მეურნეობის დოქტორი

[1]საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, საქართველო
[2]საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
[3]წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, სოფელი ხიჭაური, საქართველო
E-mail: japaridze.givi@yahoo.com; giorgigagoshi@mail.ru; lasha.dolidze65@yahoo.com; vasadze.rezo@mail.ru; ztiginashvili@gmail.com; malkhaz.samadashvili@gmail.com; davit.shevardnadze@railway.ge

ანოტაცია. სტატიაში განხილულია საქართველოს სატყეო სექტორში მიმდინარე პროცესები, ინსტიტუტციური მოწყობის, მართვის, კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებების რეგულირების საკითხები, არსებული გამოწვევები.

შემუშავებულია საქართველოს სატყეო სექტორის მართვის, ინსტიტუციური მოწყობის ძირითადი პრინციპები.

საკვანძო სიტყვები: ტყე, მართვა, ინსტიტუციური მოწყობა, საკანონმდებლო ბაზა.

საქართველოს ტყეები წარმოადგენენ რთულ, დინამიურ, თვითრეგულირებად სისტემებს, რომლებშიც მიმდინარე პროცესები განმსაზღვრელ გავლენას ახდენენ ბიოსფეროს ძირითადი შემადგენელი ელემენტების მდგრადობასა და დინამიკაზე.

ტყე წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეს. საქართველოს ტყის ფონდის საერთო ფართობი (2010 წ. 1-იანვრის მდგომარეობით) შეადგენს 3007,6 ათ. ჰექტარს, ანუ ქვეყნის ტერიტორიის 36,4%-ს (6949,4 ათ.ჰა), ტყის ფონდის საერთო ფართობიდან ტყით დაფარულია 2372,8 ათ.ჰა, მერქნის საერთო მარაგი 454,5 მლნ $მ^3$-ია, ხოლო მერქნის საშუალო წლიური ნამატი 4,5 მლნ. $მ^3$-ია.

სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობები ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობის მიხედვით იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

1. სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიები 312,9 ათ.ჰა (10,49%), მათ შორის:
   – სახელმწიფო ნაკრძალები – 136,6 ათ. ჰა (4,6 %)
   – ეროვნული პარკები – 134,8 ათ. ჰა (4,5 %)
   – ბუნების ძეგლები – 0,3 ათ.ჰა (0,09 %)
   – აღკვეთილები – 33,7 ათ. ჰა (1,1 %)
   – დაცული ღანდშაფტები – 7,5 ათ ჰა (0,2 %)
2. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდი – 2694,7 ათ.ჰა (89, 6 %), მათ შორის:
   – საკურორტო ტყეები – 119,4 ათ. ჰა (4,0 %)
   – მწვანე ზონის ტყეები – 276,5 ათ.ჰა (9,2 %)
   – ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ტყეები – 2298,8 ათ. ჰა (76,4 %)

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ყოფილი კოლმეურნეობებისა და საჭოთა მეურნეობების სასოფლო დასახლებების მიმდებარე ტყეები (დაუზუსტებელი მონაცემებით 600 ათ. ჰა), რომელთა ამჟამინდელი სტატუსი მეტად ბუნდოვანია.

დღეისათვის საქართველოში ტყეთსარგებლობასთან დაკავშირებული გამოწვევები განმსაზღვრელად არის დაკავშირებული ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლეებთან. არსებული ტყის რესურსების დაცვის, კვლევწარმოების, აღრიცხვის, მართვის პრინციპების შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინსტიტუციური მოწყობის და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას. როგორც ცნობილია მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით შემუშავდა ახალი „ტყის კოდექსი“, სადაც ცალსახად განისაზვრა ტყის ფუნქციონალური დანიშნულების ოთხი კატეგორია: დაცული, დაცვითი, საკურორტო-რეკრეაციული და სამეურნეო. თითოეულ აღნიშნულ კატეგორიაში ნათლად განსაზღვრულია ტყის დაცვა – აღდგენის ღონისძიებები და ტყით სარგებლობის ის სახეები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ტყის ეკოსისტემების მდგრად განვითარებას, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტყის დაცვის ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც წარმოადგენენ ბუნებრივ – სტიქიური ზემოქმედებისაგან პრევენციას, კერძოდ, ხანძარსაწინააღმდეგო გზების, ბილიკების მოწყობას, ტყეში ჩახერგილობებისგან გაწმენდას, მინერალიზირებული ზოლების მოწყობას, ეროზირებული და დეგრადირებული ფართობების აღდგენას, დაცვითი ნარგავების გაშენებას და სხვა.

როგორც ცნობილია, სახელმწიფოს ტყის ფონდი არის ქვეყნის მიწის ფონდის შემადგენელი ნაწილი, როგორც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ე.წ. „სამარაგო მიწები“, რომლებიც შედგება ტყით დაფარული და ტყით დაუფარავი ფართობებისაგან, რომელთა მართვაც უნდა განხორციელდეს ტყით უწყვეტი, რაციონალური სარგებლობის და მდგრადი მართვის პრინციპით. ამ მიმართებით, მეტად მნიშვნელოვანია ტყეებზე საკუთრების ფორმების განსაზღვრა. ახალი „ტყის კოდექსის“ (2020) მიხედვით, ტყე– სახელმწიფოს საკუთრებაა, მაგრამ მთავობის დადგენილების საფუძველზე იგი შესაძლებელია მუდმივი ან დროებითი სარგებლობის პრინციპით (გრძელვადიანი ან მოკლევადიანი იჯარა, კერძოდ საკუთრების ფორმა და სხვა) გადაცემული იყოს (მიეჩინოს) ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირზე, საქართველოს საპატრიარქოზე და სხვა. ამ მიმართებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ახალ „ტყის კოდექსში“, რომელიც ტყესა და მის ართვასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს, მე-15 მუხლი მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ტყის გადაცემის შესაძლებლობას ადგენს.

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგიონალური პოლიტიკისა და თვითმართველობის კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე (2016 წ. 9-თებერვალი, ოქმი №116) წარდგენილი იქნა კანონპროექტი „საქართველოს საპატრიარქოსთვის ტყის გადაცემის შესახებ“, ხოლო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივის თანახმად, საქართველოს მთავრობაში წარდგენილი იქნა კანონპროექტი „საქართველოს საპატრიარქოსთვის საეკლესიო და სამონასტრო კომპლექსების მიმდებარედ, ბუნებრივ საზღვრებში, 20 ჰა-მდე ფართობებზე, სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობების მიჩენის შესახებ თვითმოფადი ბუნების შენარჩუნების მიზნით“. კანონპროექტი, ამჟამად განხილვის სტადიაზეა. კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, ტყეების მოვლა-დაცვის და აღდგენის პროცესი თვისობრივად უფრო მაღალ საფეხურზე გადაინაცვლებს. ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა სტრატეგიული მნიშვნელოის – სამეფო, საეკლესიო დანიშნულების დაცული ტყეები, ხოლო მე-113 საუკუნეებში საქართველოს სამეფო კარზე არსებობდა ტყეთუხუცესის თანამდებობა, რომელიც განაგებდა განსაკუთრებული დანიშნულების ტყეების მოვლა–დაცვის საქმეს.

სატყეო დარგის მართვის, ინსტიტუციური მოწყობის საუკეთესო გამოცდილების მქონე ქვეყნებში (გერმანია, დანია, ფინეთი, შვედეთი, ავსტრია და სხვა) სახელმწიფოს ენიჭება ტყის მართვის, კონტროლის, ადმინისტრირების პასუხისმგებლობა, ამ მიმართებით, საქართველოს სატყეო სექტორში აუცილებელია განხორციელდეს უკვე არსებული, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, პირველ რიგში აუცილებელია განხორციელდეს არსებული კანონმდებლობის რეგულირება, სახელმწიფოს ფუნქციების გამიჯვნა იმ ფუნქციებიდან, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ტყეების მდგრად, რაციონალურ მართვას.

საქართველოს სატყეო სექტორის მართვის, ინსტიტუციური მოწყობის ძირითადი პრინციპები უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ დებულებებს:

1. სახელმწიფო პასუხისმგებელი უნდა იყოს:

– სატყეო პოლიტიკის და სტრატეგიის შემუშავება–განხორციელებაზე;

– საკანონმდებლო და ქვენორმატიული აქტების შემუშავებაზე;

– ტყეთსარგებლობაზე, ტყის მოვლასა და დაცვაზე, სახელმწიფო კონტროლის და ზედამხედველობის, ტყეების მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება–განხორციელებაზე.

2. ტყის მმართველობითი უფლებამოსილი ორგანოს ძირითადი ფუნქციები უნდა იყოს:

– სახელმწიფოს მიერ მმართველობაში გადაცემული ტყის ფონდის მენეჯმენტი;

– ტყის ინვენტარიზაციის დაგეგმვა, ტყის დაცვა, აღდგენა–განახლება, ტყეთ-სარგებლობა, საერთო მონიტორინგი;

– სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება, ტყის რესურსების მართვა.

ასევე, აუცილებელია არ იქნას დაშვებული ქმედებები, რომლებიც განაპირობებენ სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლებამოსილი ორგანოების გვერდის ავლით, სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებში ცვლილებებს.

2010 წელს, საქართველოს „ტყის კოდექსში“ (1999) შეტანილი იქნა რირი ცვლილებებისა და გამოცემული იქნა კანონმდებარე აქტები, რომლებიც არეგულირებდნენ ტყეთსარგებლობის, ტყის მოვლა–აღდგენის, დაცვისა და სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის წესებს. აღნიშნულ ნორმატიულ აქტებში განხორციელებულმა ხშირმა ცვლილებებმა და სამომავლო ხედვებმა განაპირობა სატყეო საკანონმდებლო რეგუ-ლაციებში დროული ცვლილებების აუცილებლობა, გამომდინარე აქედან, საქართველოს ახალი რედაქციის „ტყის კოდექსი“ უნდა უზრუნველყოფდეს შემუშავებული დადგენილი წესების და დებულებების განუხრელ დაცვას, საქართველოს სატყეო დარგის მდგრადი მავის ძირითადი პრინციპების აღსრულებას.

Basic Principles of Management and institutional of the Forestry sector of Georgia, Arragments

Givi Japaridze[1] – Academician of Georgian Academy of Agricultural Sciences
Giorgi Gagoshidze[1] - Academician of Georgian Academy of Agricultural Sciences
Lasha Dolidze[1] – Doctor of Agricultural Sciences
Rezo Vasadze - Doctor of Agriculture
Zviad Tiginashvili[2] – Doctor of Agriculture
Malkhaz Samadashvili[2] – Doctor of Agriculture
David Shevardnadze[2] - Doctor of Agriculture

[1]Georgian Academy of Agricultural Sciences, Tbilisi, Georgia
[2]Georgian Technical University, Tbilisi, Georgia
[3]St. Tbel Abuseridze Educational University; Village Khichauri, Georgia
E-mail: japaridze.givi@yahoo.com; giorgigagoshi@mail.ru; lasha.dolidze65@yahoo.com; vasadze.rezo@mail.ru; ztiginashvili@gmail.com; malkhaz.samadashvili@gmail.com; davit.shevardnadze@railway.ge

S u m m a r y

The article discusses the ongoing processes in the forestry sector of Georgia, the issues of regulation, institutional arrangements, control, and the current challenges. The basic principles of the forestry sector management of Georgia and organization arrangement are highlighted in the article.

Keywords: forest, management, organization arrangement.